რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მ ნ. და [illegible] 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible] ებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

# საქართველო

## ხელოსნების დამხმარებელი საზოგადოება.

II.

ჩვენის აზრით ორი უმთავრესი სახსარი არის ისეთი, რომ ჩვენი ხელოსნების ცხოვრება უმჯობესობაში შევიდეს ნივთიერის და ხელოვნურის მხრივ.

პირველად საჭიროა მოაშოროს იგინი ვაჭრებს და მეორედ სასტიკი ყურადღება მიაპყრას მათგან ხელობის სწავლას. ეს ორივე საგანი უნდა აღასრულონ თვითონ ხელოსნებმა, საკუთარის თაოსნობით.

ერთად ერთი საშუალება არის, რომ ვაჭრებს მოშორდნენ ხელოსნები. ეს ისა, რომ შეადგინონ ამხანაგობა თვისი ხელობისათვის საჭირო საქონლის მაღაზიის გასამართავად. ამხანაგობაები უნდა შეადგინონ ყველა ამქრის ხელოსნებმა ცალკ-ცალკე,—სახელდობრ: პარტნოებმა და მკერვლებმა მაუდეულისა, სლესარებმა და მჭედლებმა—რკინეულობისა, მეწაღეებმა და მებაშმაკეებმა—ტყავეულობისა, დურგლებმა და სტოლარებმა—ხე-ტყისა. და სხვ. და სხვ.

ამხანაგობაები უნდა შესდგეს თვითონ ხელოსნებისაგან ფულის გამოღებით. აუცილებელი საჭიროა ურთიერთის თავდებობა იკისრონ, ამით ბევრ გარეშე თანხასაც მოიზიდავს ამხანაგობა და ფაბრიკებშიაც ნდობას მოიპოვებს და ეს ორივე გარემოება ძალიან საჭირო იქნება მისთვის, რადგან პირველ ხანში მაგდენს ვერაფერს შეადგენს თანხას. ამ გვარ ამხანაგობაებში შესაძლებელია და საჭიროც არის, რომ მოგება მიეცეს ამხანაგს არა თავის წილადი ფულის გვარად, არამედ მისი ნავაჭრის ჯამის გვარად, ესე იგი ვისაც ათასი მანეთისა უვაჭრია, იმას ათასი წილი ერგოს სარგებლიდგან და ვისაც ათი მანეთისა—იმას კიდევ ათი წილი.

ამ გვარი ამხანაგობაების დაფუძნებით მრავალ გვარ სარგებლობას ჰნახავს ხელოსანი: საქონელს მუდამ საუკეთესოს მოიპოვებს და ამით მუშტართან არა თუ შერცხვება არამედ ნდობასაც დაიმსახურებს; უსაქმო დროს და უფულობაში შეეძლიან, მცირე სარგებლის გადახდით, ნისიად მოიპოვოს საქონელი და დაუბრკოლებლივ აწარმოვოს თავის ქარხანა; რასაც სარგებელს ეხლა ვაჭარს აძლევს ის სარგებელი თვითონვე დაუბრუნდება და სხვა. ეს ყველა მის ცხოვრებას დიაღ საგრძნობელს კვალს დააჩნევს, რადგან ფულად რომ გადავიღოთ არ შევცდებით, რომ საშუალო რიცხვად ყველა ამ სარგებლობისა ორმოც და ათი თუმანი ვიანგარიშოთ, და ამ ფულის მიმატება ჩვენი ხელოსნის ცხოვრებაში—დიაღ დიდი რამ არის.

მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა კიდევ იმას ექნება, რომ ხელოსანი მოიშორებს თავიდგან იმ უსიამოვნო ზნეობითს მდგომარეობას, რომელსაც ის ამ ჟამად ჰგრძნობს იმ მიზეზით, რომ ნივთიერად ვაჭრისაგან არის დამოკიდებული, და მუდამ იმ დაჯერებით არის, რომ ვაჭრისთვის სცხოვრებს, ქვეყანაზედ იმათ სასარგებლოდ მუშაობს და რამდენიც უნდა ბეჯითად მოიქცეს, ის მაინც ამ გარემოებიდამ ვერ გამოვა—მაინც კიდევ მუდამ იმათ ხელში იქნება: ვაჭრისა იქნება იმისი მოგებაც და შრომაც. ეს დაჯერება ვინ არ იცის რა თვისებისა არის? ხალისს უკარგავს, წარმატების გზაზედ ელობება და ზნეობასაც უმხობს!

მეორე საჭიროება ის არის, რომ ხელოსნებმა სასტიკი ყურადღება მიაპყრან თავიანთ ხელობას. აქ არ შეიძლება ცოტა არ გავავცელოთ ლაპარაკი.

ვისაც კი ქალაქის რომელიმე ხელოსანთან ჰქონია საქმე, იმან კარგად იცის თუ რა არის ჩვენი ხელოსანი. ძალიან ცრუ და ხშირად უარესიცა. ამ გარემო-

# ფელეტონი

## გამომშვიდობება და ჩემი ანდერძი

(დ. სასრული)

გახსოვს, პაკო, ერთი ყმაწვილი კაცი რომ გირჩევდა—მოდი ამხანაგობა შევადგინოთო, ფულები შევაქუჩოთო, ერთი, ორი ვაჭრობაში დახელოვნებული და პატიოსანი კაცი ვიშოვოთო და თვითონ დავიწყოთ ვაჭრობაო. განა მარად ასე უნდა ვეცარცვინებოდეთო ზოკებსაო; უმჯობესი არ არისო—რასაც ისინი იგებენ ჩვენგანაო, თვით ჩვენვე მოვიგოთო; თუ ზოკები იმ მოგებით დუქანსაც ქირაობენ, მოჯამაგირეებსაც და რამდენიმე ცხენსაც ინახვენ, თავიანთ თავს და ცოლ-შვილსაც კარგათ აცხოვრებენ, ჩვენ რაღა დაგვემართებაო, რომლებსაც იმ მოგებით არც სახლის, არც ურმის და არც თავიანთი თავის (გარდა თვით პრიკაშჩიკებისა) შენახვა არ მოგვინდებაო (რადგანაც ჩვენ თავისი გზა გვაქვს ცხოვრებისაო—მუშაობა), რომ ჩვენი ვაჭრობაო ცუდათ წავიდესო და ზოკების ვაჭრობას წინ ვერ აღუდგესო და სხვ!... მგონია გახსოვთ, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო, თქვენ მაშინ ამ ჰაზრის მისაღებათ მომზადებულნი არ იყავით, ამ გვარ სიტყვებსაც ყოველთვის ეჭვით უყურებდით, მაგრამ ახლა, როდესაც მაგისთანა წინამძღვარნი გყავთ, ამ საქმის აღსრულებაში მოყვანა არ გაგიძნელდება, მხოლოდ კარგად, თადარიგიანად დაიჭირე საქმე!... საგარეჯოს და მეჯვარის-ხევს მაინც სხვა პაკო? ერთმა დიდმა და სახელ-განთქმულმა კაცმა ჰსთქვა ერთხელ: „წელიწადში ათჯერ გამბანეთო, გამწმინდეთო და ათჯერ მეტს ვიცოცხლებო, ე. ი. ათის წლის მაგიერათ ასს წელიწადს ვიცოცხლებთ!“ ეს სიტყვები—იმას ნიშნავენ, რომ ჩვენ ჩვენივე ხორცი, ტანი წმინდათ და ფაქიზათ უნდა შევინახოთ, ყოველ წელს რამდენჯერმე უნდა გავიბანოთ ხოლმე საპნით და თბილი წყლით (ორ კვირაში ერთხელ მაინც), თუ გვინდა, რომ დიდხანს და ჯანმრთელათ ვიცხოვროთ. თქვენ მხოლოდ ზაფხულში ბანაობთ მდინარე წყლებში და კარგსაც შვრებით, მაგრამ მხოლოდ ზაფხულის ბანაობა რომ არ არის საკმარი: საჭიროა ბანაობა შემოდგომაზედაც, გაზაფხულზედაც და ზამთარშიაც. მაგრამ საქმე იმაშია: სად უნდა ჰბანაობდეთ ამ დროებებში? აქ ერთათ ერთი, ყველაზე იაფი, კარგი, ყველასათვის შემრგო და უწყინარი საშუალება არის—ა ბ ა ნ ო. აბანოს გაკეთება თქვენ ძლიერ ძვირად არ დაგიჯდებათ, რადგანაც ქვა, ქვიშა, ხე-ტყე, წყალი და თითქმის ყველაფერი ცხვირ წინ გძევთ.

კიდევ ბევრი რამეების თქმა მინდოდა შენთვის პაკო, მაგრამ გაზეთის საქმე იმისთანა საქმეა, რომ უმეტესი ლაპარაკით და კრთხვით ყველას თავს მოაწყენ და მოჰბეზრდები კიდეც. კიდევ ბევრი რამეების შეძენა გეჭირვება, რო-

ებას შემდეგ მიზეზებს ვაბრალებთ. ერთი, რომ რიგიანი ცოდნა არა აქვთ ხელოსნებს, და მეორე—თითქმის თვითონ საზოგადოებას არ უყვარს რიგიანი ხელოვნება, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვერ აფასებს რიგიან ხელობას. ასე, რომ ჩვენი ხელოსნები და საზოგადოება—ერთი მეორის ღირსნი, ალხანა და ჩალხანა არიან.

ნ. ა.

(შემდეგი იქნება)

---

## ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** „კავკაზში“ მოყვანილია ანგარიში კავკაზიის სამასწავლებლო უწყების მზრუნველისა, რომელშიაც, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ თათრებთან ომის და აფხაზეთში მტრების შესვლის მიზეზით ყველა, სათათრეთის და შავი ზღვის ნაპირების ახლო-მახლო მდებარე ქალაქებისა და სოფლების სახელმწიფო, კერძო და სახალხო შკოლები დაიხურა ომის გამოცხადების დღიდგანაო. იქ აღნიშნულია შემდეგი შკოლები, რომელშიაც ახლა აღარ არის სწავლა: ანაპისა და ნოვოროსიის, ფოთში სამეგრელოს უეზდის და ალექსანდროპოლში სამოქალაქო სასწავლებლები. სოხუმის სამოქალაქო შკოლა და საქალებო პროგიმნაზია დასწყვეს და მრავალი ქონება დაიტაცეს მტრებმა, მოსწავლეებთაგან ბევრი წაიყვანეს თათრებმა ტრაპიზონშიო. ამას გარდა დროებით დაიხურა შკოლები შემდეგ ადგილებში: დერბენტში, ნუხში, ზაქათალაში, საცხენისაში და სხვ. თუმცა ეს უკანასკნელი შკოლები, გარდა საცხენისისა აჯანყების შემდეგ ისევ შეუდგნენ თავიანთ საქმეებს, მაგრამ სწავლის შეწყვეტა ცხადათ დაეტყო სწავლას და მოსწავლეთა შემცირებასაო.

*** „თფილისის განცხადებებში“ სწერენ, რომ 18 აგვისტოს ღამე სომხის ბაზარში გამოუნგრევიათ ვ. ფულინოვის დუქნის კედელი და გაუტანიათ 500 მანეთის ნივთები. ქურდი ერთი უპოვნიათ, ზიორგი მღებრიშვილი დანარჩენ მონაწილეებს ამ ქურდობაში სძებნიანო.

*** გაზეთ „კავკაზში“ სწერენ, რომ აღწერიდამ, რომელიც მოახდინა ერთმა პირმა 25 მარტს, 1876 წ., აღმოჩნდა, რომ თფილისში მცხოვრებლების რიცხვი იყო 91,610 ორივე სქესისა; სამხედრო დაბალი ჩინი (სალდათები) 13,140, კაცი, სულ 104,750 კაცი.

*** სომხური პედაგოგიური ჟურნალი გვაცნობებს, რომ სომხების ეპისკოპოზს აივაზოვსკის უნახავს სურამის სახალხო სასწავლებელი და ძალიან მოსწონებია, მადლობაც უთქვამს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთი სომხის მღვდელი ამ მოკლე ხანში დაიწყებს გამოცემას სომხურ ენაზედ სამთვიურ ჟურნალს, სახელად „რომანნი და მოთხრობანი“.

*** ჩვენ ნავხეთ თამარ დედოფლის სახე ბეთანიის ეკკლესიიდამ გადმოხატული, რომელიც იმითი განირჩევა ჩვენ სურათიდგან, რომ ეს სრულად, მთლად არის გადმოხატული.

*** სიონის სობოროში რომ ქალი (კანდელი) ჩამოვარდა და დაიმტრა, ას ორმოც თუმნამდი არის ზარალიო.

*** ყარსიდამ იწერებიან შემდეგს: „12 მარიამობისთვეს გოშპიტლის დეჟურნათ იყო ფერშალი ვასილ ღლურჯიძე. უფროს ექიმს უ. ბეცს რაღაც საქმე გასჩენოდა დეჟურნთან და გაეგზავნა სალდათი, აქ მოვიდესო. ღლურჯიძე ამ დროს კარავებში ავათმყოფებს აწვენდა დეჟურნი ექიმის ბრძანებით და ეთქვა სალდათისთვის ეხლავ ვიახლებიო. ბეცს რო გაეგონა ეს სიტყვები სალდათისგან დაეწყო ყვირილი, შენ შენ საქმეზე ჰყოფილხარ, იქ არ ჰყოფილხარო! ჩემი ბრძანება არ გაგიგონიაო! და გაბრაზებულს ორიოდე ქიმუნჯი წაეჭკრა სალდათისთვის. მერე წასულიყო ფერშალთან, რომელიც წინ შემოხვედროდა.

— რატო აქამდი არ მოხველ ჩემთანაო?

— ავათმყოფებს ვაწვენდი და როცა გავათავე ჩემ სადგომზედ გამოვიარე, რომ სუფთად ჩამეცვა და ისე გხლებოდი!

უ. ბეცმა დაუწყო ღლურჯიძეს ლანძღვა, გინება პილწის სიტყვებით, მივარდა ქილეტკაში, ჩამოახია ისა და პერანგი და აგრეთვე რამდენიმე მუშტი წაჰკრა კისერში. ეს უკანონოთ მოქცევა ბეცისა არ ჩაივლის უყურადღებოდ, რადგანაც ღლურჯიძემ ბევრგან იჩივლა და თუ უყურადღებოდ ჩაითვლის, მაშინ აქ ამ ექიმთან არა მგონია ვინმე მოთავსდეს და დადგეს სამსახურში.

---

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

**სიღნაღი**, 19 მარიამობისთვეს. ამ თვის 11-ში, ღამის 9 საათზედ, ისეთი საშინელი ზარბაზნის ხმის მგზავსად იჭექა ცამ, რომ საზარელი ქრიამული ასტეხა ჩვენ ქალაქში. ჩამოვარდა მეხი, დაეცა აქაურს სომხის ეკკლესიის სამრეკლოს, ჩამოუქცია ერთი კუთხე თავიდამ ბოლომდინ და ამის ახლო ფიცრით ნაშენი წმინდა სანთლის დუქანი ისრე მიწასთან გაანადგურა და გაასწორა, რომ უცხო მნახველი სრულებით ფიქრათ არ მოვა, თუ აქ ნაშენი რამ ყოფილიყო.

ეს ხსენებული სამრეკლო არის მშვენიერს ფასადზე გაკეთებული, ასე რომ ადამიანს ესიამოვნება ამის დიდხან ყურე-

---

გორც მაგალითდ: განათლების გავრცელება ქალთა შორის; ხეირიანი სამოსელის შაკერვის ცოდნა და შემოღება ამ უკანასკნელთა შორის; უკეთესი ჯოგის ცხენის, საქონლის და ცხვრის გამრავლება; გავრცელება ზოგიერთი ხელობებისა—დურგლობისა, კალატოზობისა, და სხვა მრავალი, მაგრამ დრო არის ყველა ამაებს თავი დავანებოთ, და სხვაზე გადავიდეთ.

შენ, ჩემო კაკო, ბრწყინვალე მომავალი მოგელის. და ეს ბრწყინვალე მომავალი შენი მოზარდი შვილებია. ცოტათ თუ ბევრათ და ეხლაც ჰსჩანს ამ ბრწყინვალე მომავლის ნიშნები. ხალხის კეთილი მომავალი მხოლოდ მაშინ შაიძლება ვსთქვათ—კეთილია, ოდესაც მისი შვილების გაჰზრდის, ჰსწავლის შემძლება, თვისი დედა-სამშობლოში ბრუნდებიან, რათა ემსახურონ იმათ, ვისგანაც შობილან, და ვისი ოფლით, ფულით და შრომით თვითონ არიან აღზრდილნი. იგინი, ჩვენის პოეტისა არიყოს:

ყველას გაუძლებენ, სასტიკ ტანჯვასაც,
თვის საყვარელთა იმედთ დანთქმასაც,
თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს
და თვით თვის ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს,
ყველას გაუძლებენ, როგორც კლდე ქვისა!!..

მაგრამ თვისი ხალხის უბედურებას, უმეცრებას, ტანჯვას, ტირილს, მის სულის ვალშიდ ამოგდებას, შვილების უსწავლელათ დარჩომას, ქონების უხეიროდ და უმიზნოთ მოხმარებას და ერთი სიტყვით ყველა უბედურებას ხალხისას კი, ვერა ძალუძს, ძმანო, მათ ვერრით გაძლება. იგინი, ვამბობ, ყველაფერს აიტანენ, მხოლოდ თვის საყვარელ მშობელს (ხალხს) ტანჯვის ცრემლი მოჰწმინდონ. ზემოთ გითხარი, ამ ჟამად შენშიაც ჰსჩანს ამ ბრწყინვალე მომავლის ნიშნები, თუმცა ჯერ-ჯერობით ძრიელ სუსტათ: დღეს კაკო, შენი იმედი, სრულდება შენ რამოდენიმე ახალგაზდებზე. პირველი ადგილი მათ შორის, უჭირავს შენს „ინგილო ჯანაშვილს“, რომელიც ამ ჟამად წასულა მოსკოვში აკადემიაში ჰსწავლის გასაგრძელებლათ. დარწმუნებული იყავი, როდესაც ეს შენი შვილი, მიდიოდა მოსკოვში ჰსწავლის გასაგრძელებლათ, მას სახეში მხოლოდ შენა ჰყვანდი, იგი მხოლოდ შენთვის მიდიოდა უცხოეთში. მართალია მან მომეტებული თვისი სიცოცხლე, არა შენში, არა შენთვის გაატარა, მაგრამ თუ მივიღებთ მის შრომას საზოგადოთ ქართველებისათვის, მაშინ შენც დამეთანხმები, რომ მას ეპატიება, შენთვის თავის დანებება. ამას იქით კი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დანარჩენ თვის სიცოცხლეს შენ შუა გაატარებს და მანდედამ იმუშავებს, როგორც თვით შენთვის, აგრეთვე ჩვენი სამშობლოსთვის!

—

მეორე ადგილი, უეჭველია, ეკუთვნის აბელა ბაირამაშვილს. მან ჯერ თვით შაგირდობის დროს, იმდენი გონიერება

ბა, მხოლოთ ჩამოქცეული კუთხე სრულებით უკარგავს სიმშვენიერეს. ამ შემთხვევის გამო აქაურები ძლიერ შეწუხდნენ, რადგანაც ხსენებული სამრეკლო სამაგალითო შენობა იყო.

Თავათ ამ სამრეკლოს გაკეთების მოთავე და დამსრულებელი იყო უფ. Ოსეფ Ამირხანოვი, რომელიც არის აქაური ეკლესიის მამა-მთავარი და რომელსაც დიდი ამაგი აქვს ჩვენს ეკლესიაზე და ამ ხსენებულს სამრეკლოზე, ამის გამო მოიმედე ვართ კიდენაც, რომ რაც ნაკლებობა არის ეკკლესიისა თუ სამრეკლოსი ყურადღებას მიაქცევს და აღასრულებს, რომლისათვისაც საზოგადოება დარჩება დიდად მადლობელი.

Საკვირველია ამ ჩვენ ქალაქში ზოგიერთ კაცს ისეთი ცუდი მაზნევარი ხასიათი აქვს და ცუდ საქმეებს აწარმოებს, რომ კარგია ცა და ქვეყანა თავს არ ენგრევათ. Ამ ორი თვის წინათ, რომ მილიციონერების ამორჩევა იყო, იმ დროს პოლიციის ჩინოვნიკებიდამ ერთსა საწყალს ახლად დასახლებულს ხარაზს ფ. ზალუსტოვს გამოართმევს ოთხი თუმანი, იმ პირობით რომ ის სრულებით გაანთავისუფლეს, თუმცა ამ საცოდავს ხარაზსა არა ჰქონდა ნარგები კენჭი; ამ საცოდავის ფულის მიმღებმა მიირთვა კიდეცა და მოინელა, ის ფულები მაგრამ იმას ვერა უშველა და გაიგზავნა კიდეც მილიციაში. Უმჯობესია ის ფული დაუბრუნოს პატრონსა, რომლის ცოლშვილი უკვლო-უგზოდ არიან დარჩომილნი, საქე არ მიახწიოს იქამდინ, რომ იმის პატრონმა ეს გარემოება აცნობოს, სადაც ჯერ არს.

პოხრო

# ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

## ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

Გაზეთ „კავკაზში“ იწერებიან ბორჯომიდამ:

„ჩვენი ჯარები, რომლებიც იყვნენ სამის მხრით მიმართულნი ბათუმზედ: ქობულეთიდამ, Ართვინის არე-მარედამ და ზემო Აჭარიდამ, თან-და-თან იჭერენ თათრებისაგან მიტოვებულ ადგილებს. 17 Აგვისტოს დაიჭირეს ქობულეთში ჩურუქ-სუს სიმაგრეები, სოფ. კვირიკე და სამება; 21 Ციხის ძირი. ჩვენი ატრიადის უფროსებს მცხოვრებლები ყველგან უცხადებენ მორჩილებას და მზათ არიან დარჩნენ ნამდვილ ქვეშევრდომებათ ხელმწიფე Იმპერატორისა. Ყველაზედ წინ მოვიდნენ ქობულეთლები და 21-ს Აჭარის უფროსთან Აჭარის მცხოვრებლებიც, რომეთაც განაცხადეს ეს ქვეშევრდომობა.

— Ამავე გაზეთში იქიდამვე იწერებიან 23 Აგვისტოს რომ 21 მარიამობისთვეს Თათრების დეპუტაციიდამ პატივცემული პირები გამოცხადდნენ Ტოლგომში დასარწმუნებლად, რომ იმათი შეერთება სახელმწიფოსთან არავითარ მტრულ გრძნობას იმათში არ ჰბადავს და სთხოვენ განუცხადონ მისს Იმპერატორებით Უმაღლესობას, Კავკაზიის ნამესტნიკს, რომ ამის შემდეგ ისინი იქნებიან ნამდვილი ქვეშევრდომნიო. Ართვინოს აღების დროს სომხებისა და კათოლიკების ეკკლესიებში გადაიხადეს სამადლობელი მოლებნა. Ამ დროს გაისროლეს 21 ზარბაზანი.

Ქალაქმა გააკეთა სადილი, სადაც, სხვათა შორის, დაესწრო Აჭარის, ბათუმისა და მაზახელსკის მცხოვრებლების პატივცემული დეპუტაცია. Ქრისტიანები დიდ ალტაცებაში და განცხოველებულნი მოძრაობაში არიანო.

— რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ სარაევოს აღების დროს ქუჩებში ებრძოდნენ Ავსტრიელებს მხოლოდ სარაევოს მცხოვრებლები — მაჰმადიანები, ხოლო განდგომილებს სჭერიათ იმ ჟამად ქალაქის ახლო-მახლო გორები და შიგ ქალაქში სულ არ შესულან და რა წამს უნახავთ, რომ Ავსტრიელებს დაუძლევიათ, მაშინ აღმოსავლეთისკენ წასულან რამდენიმე რაზმად. Ისინი დამდგარან მთებში და უცდიან თურმე Ავსტრიელები საით წავლენო.

— Აგრეთვე ვენიდგან იწერებიინ რომ 12 აგვისტოს იმ ქალაქში მიუყვანიათ სამხრეთის რკინის გზით ოთხასამდე დატყვევებული განდგომილი. Იმათში თურმე ბევრი მოხუცი და ყმაწვილები არიან და აქეთ-იქით მძვინვარებით აფრქვევენ თვალებსაო.—Ამ ტყვეებში თურმე ერთი ათი წლის ყმაწვილი ურევია, რომელსაც მოუკლავს ოთხი ავსტრიის სალდათი. Ეს ტყვეები ვენიდგან ვენგრიაში გაუგზავნიათ.

— Ლონდონში მიუღიათ 23 Აგვისტოს ამბავი სიდნეიდამ, რომელიც შეეხება ახალ-კალედონიაში მომხდარ აჯანყებას. Ორ ხალხ, რომელთ რიცხვი ერთად სულ ათას კაცამდის ითვლება, მოუკლავთ 75 კოლონისტი და ჟანდარმი. Ამ ამბის მიზეზად იმას ამბობენ, რომ თავის ნებით ჩამოურთმევიათ იმ სოფლის მიწები, რომელზედაც ის ხალხი ყოფილა დასახლებული.

# ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

ჩვენ მივიღეთ რაჭიდამ შემდეგი წერილი:

Უფალო რედაქტორო! მე ბ. ჯ. გახლავარ მთელს რაჭაშიდ ნაქები არა თუ და გავლენა იქონია თვის დედ-მამაზე, რომ წინაალმდეგ მთლათ თქვენი ადათისა, მიაბარა თვისი და ერთ პატიოსან ქართველ ქალს, ასწავლა მას ქართული ხელ-საქმე, ქართული წერა-კითხვა და შემდეგ კიდევ თვისი მუდმივი წერილების მიწერ-მოწერით, ისე გაუღსნა მას ჭკუა-გონება და ინტერესი ჰსწავლისადმი, რომ ნეტავი ჩვენ საქართველო სოფლებშიაც მრავალი მოიძებნებოდეს მისთანა მხურვალე ლტოლვილებით ქალები.

Ეს კიდევ ცოტაა. მამადხანას შვილმა პირველმა დაგვიმტკიცათ, თუ რა ძალა არის ხალხისათვის კარგი შვილი. Ჯერ ერთი ის, რომ მის განწესებამდე მასწავლებლათ, ჰსწავლა და აღზდვა ზაქათლის შკოლაში მიდიოდა საშინლათ უგულოთ, უსაფუძვლოთ, სრული უცოდინარობით, ზანტათ და სხვ. მის მოსვლის შემდეგ კი მოხსენებულ სასწავლებელში უეცრათ ფარდა აიხადა და სულ სხვა სურათი წარმოსდგა. საქმე იმაშია, რომ მან მოაწყო და მომართა თვისი პირველ-დაწყებითი კლასი, განაგდო იქიდგან ის ზარ-დასაცემი შიში, რომელიც ასე საშინლათ ამახინჯებდა საზოგადოთ მთელი შკოლის შაგირდებს, შთაბერა ყმაწვილებში ინტერესი ჰსწაელისადმი, არა ჩვეულებრივი მოძრაობა, წესი, ნდობა თავის თავისადმი, ბავშური ლხინი, სიცოცხლე მოძრაობაში და ერთი სიტყვით, დააყენა ეს კლასი იმ წერტილზე, რა წერტილზედაც დგომა, არა თუ მას, არამედ მთელ შკოლასაც დიდი ხანია ასე ეჭირებოდა.

Ამას გარდა, თვით იგი გახდა მთელი მაზრის მაშენიკების, ამ წუთი სოფლის „ძლევა-მოსილების“ ზარ-დასაცემ მეხად. Იგი ყოველთვის შენზე ზრუნავდა, შენზე ფიქრობდა, და ამ მიზეზით მოუსვენრად და დაუღალავად თვალ-ყური ეჭირა, ყველა მცირედ არის, განკარგულებაზე ადმინისტრაციისა, ანუ მოქმედებაზე სამსახურის თუ მოვაჭრე პირებისას, რათა ყველგან—ბეჭდით, თუ პირის-პირად დაეცვა მას შენი თავი მათ ბოროტ-მოქმედობისაგან. რაღა ბევრი გავაგრძელო, ხომ თვითონ შენც კარგათა ჰხედავ, ჩემო კარგო, რომ შენში ამ ჟამად დუღს სიცოცხლე, როგორც აღელვებულ ოკეანში და ამ სიცოცხლეში თვით შენ შვილებს უჭირავსთ არა უკანასკნელი ადგილი. Ამას თუ დაუმატებ სხვა შენ შვილებსაც საკვირაო და ყოველ დღიური შკოლის მოწაფეებს და იმათ, რომელნიც ამ ჟამად გორის საოსტატო სემინარიაში (ორი ყმაწვილია) და Ყირიმის საოგრონომიო შკოლაში (ხუთი ყმაწვილია) ჰსწავლობენ, მაშინ, არა თუ შენ, კაკო, არამედ ყველა საქართველოს სოფლელნიც კი ცხადათ იხილვენ, შენი ბრწყინვალე მომავლის ნიშნებსა!....

Მშვიდობით, ჩემო კაკო! Ღმერთმა კიდევ მალირსოს ოდესმე შენი მშვენიერობის და ჩემი ნაანდერძევის სისრულეში მოყვანის ნახვა, ანუ გაგება!...

შენი ვანო როსტომაშვილი

1878 წ.

სიმდიდრითა, არამედ სიმსხო-სიმსუქნითაც ისე, რომ მეორე ჩემზედ უმსხოსი არ იქნება თქვენს ბედნიერს ტფილისში და უმდიდრესი — ჩემს სამშობლო რაჭაში. რამ გამასუქა და გამამდიდრა, თითონაც არ ვიცი! მხოლოდ ეს კი ცხადია: სავაჭროში ხელ-და-ხელ ფული არასოდეს არ მიმიცია და ნისიათ ბევრი წამიღია; შერჩენით ვალი მგონი არ შემრჩენია, მაგრამ თუ ოდესმე სავაჭროში ხელ-და-ხელ ფული მიმიცია, ეგრე დამზარდებია, რომ თვალები დამიჭყეტია. ამიტომ, ზურგს უკან მე „სკუპოისაც“ მეძახიან. გლეხები თუმცა-ღა ძრიელ არ შემიწუხებია, მაგრამ ბეგრები ყოველთვის უკლისად გარდამიხდევინებია; მათს სიღარიბესაც მე მაბრალებენ და უნდა მართალიც მოგახსენო, ისე ღარიბნი არიან, რომ ზოგჯერ ქონი ვერ უშოვნიათ ურმის ღერძში გამოსცხონ, რათა არ დაიწყონ მათი ჩვეულებრივი ჭრიალი და მით არ შეაწუხონ ჩინოვნიკები და ხალხი, რომლესაც მათ ტვირთი შემოაქვთ ქალაქში. ამ გვარმა ჩემზედ ხალხის ხმამ და ჩემმა სიმდიდრემ შემიყვანა როგორც უკმაყოფილობაში და განუსვენრობაში, ისე სინანულშიდაც. ამისათვის მე ვუტოვებ შვილს ჩემს ანდერძათ ამას! ვინაიდგან ის ხასიათი მაქვს, თვალ გახელილი ვერას გამოვიმეტებ გასაცემელად სულისთვის ჩემისა და ისიც ვიცი, რომ შემდეგ გარდაცვალებისა ჩემზედ გაცემული საწირავი წამადგება ეგრე, ვითარცა ანთებული ფარანი კაცს ბნელაში, ამიტომ, ვსთხოვ შვილსა ჩემსა: ჩემი სამარხზედ გატანით არ შეაწუხოს ხალხი ან მათი ხარ-კამბეჩი, არამედ თავი და ფეხები გადამჭრას ტანზე და დაასაფლაოს; ხოლო შუა ტანი კი გარდაადნოს, რომ ერთი ფუთი მაინც გამოვიდნე ქონათ და დაურიგოს ღარიბ მეურმეებს, რომ იმათ წასცხონ თვის ურმის ღერძებს, რათა შემდეგში არ შეაწუხონ ხალხი მათის ურმების ჭრიალ-წივილითა. ვითხოვ უმორჩილესად ამ სტატიას ადგილი მისცე თქვენს „დროებაში“: ამისთვის უფრო რომ შვილსა ჩემსა ხალხმა მიაქცევინოს ყურადღება ჩემს ანდერძზედ და ოითიმე იხსნას ჩემი განუსვენებელი სული წარწყმედისაგან.

რაჭველი ბ. ჯ.,

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ვენა**, 22 აგვისტოს. ავსტრიის ჯარებმა, 21 აგვისტოს უბრძოლველად დაიჭირეს დრინო, ტრებინიეს გზაზედ. 150 კაცი თათრების გარნიზონისა გაგზავნილია რაღუზაში. (საკუთარი კორრესპონდენტის მიერ)

**არტაჰანი**, 23 აგვისტოს. გუშინ ჩვენი ჯარები დიდის ამბით და მხიარულებით შევიდნენ ართვინში. მცხოვრებლები თანაგრძნობით მიეგებნენ. აჭარის დეპუტაციაც შეჰპირდა ამგვარივე თანაგრძნობას.

# განცხადებანი

იქავ ისყიდება იმისივე

## „იგავ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

**ფასი ორი შაური.**

გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## „ნინო“

მოთხრობა თავადი რაფიელ ერისთვისა.

**ფასი 15 კაპეიკი.**

16-ს აგვისტოდამ გაიხსნა ქ. ქუთაისში

## „წიგნის მაღაზია“

სადაც ისყიდება ყოველ-გვარი სახელმძღვანელო წიგნი (учебники), რუსულსა და ქართულს ენაზე. გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა „მაღაზიაში“ ისყიდება სხვა ყოველ-გვარი საკითხავი წიგნებიც, აგრეთვე რუსულსა და ქართულს ენაზე.

ამავე მაღაზიაში იმყოფება ქუთაისის განყოფილება კავკასიის სამასწავლებლო უწყების კომმისსიონერის ვ. ვართანოვის წიგნის მაღაზიისა.

მაღაზია იმყოფება: მიხაილოვის ქუჩაზე, ვ. ხარაზოვის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში
ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) **დედა ენა**, ი. გოგებაშვილისა, ფასი 45
2) **ანუკა ბატონიშვილი**, ისტორიული მოთხრობა ზრ. რჩეულოვისა ფასი 20კ.
3) **ცოლი ვიტირო, თუ ფული?** კომედია ალ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) **ვეფხვის ტყაოსანი**, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) **მეფე ლირი**, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა. . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . . . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) ტფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . . | 4 |
| დ. ბ. ქაღალდის (წამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 22 აგვისტ. | | |
| ფქვ. თეთ. გან‌ჯისა, ფთ. | 2 | — |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 6 | — |
| ქონის სანთელი ფუთი . | 8 | 80 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ | — | 81 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, გროც. ფუთი . | 7 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 12 | — |

**ტფილისის სამკურნალო**

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 8 საათიდამ 10-მდის.

**ორშაბათს**: ვერმიშევი და ბაბლევიჩი — შინ. გ. ავ. თ., ქიურჩარიანცი — თვალისა და ხ რურგიულ.

**სამშაბათს**: ვერმიშევი — შინაგ. ბაქტი ვენერიულისა და კანის ა. ბ ხუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

**ოთხშაბათი**: ვერმიშევი შინაგანი, ბაქსტი — გულის და ნერვების

**ხუთშაბათს**: ვერმიშევი — შინაგ. ბაქსტი გულის, ქიურჩარიანცი — სიფილიტიკური და საშვილოსნო ორგანების, ა. ბ ხუტოვი — ქალისა და ნერვების.

**პარასკევს**: ვერმიშევი — შინაგ., ა. ბახუტოვი — ქალისა და ბ ვშვების.

**შაბათს**: ვერმიშევი შინ გ., ბაქსტი-გულისა და პეუნოვი — თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 Августа 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.